

ონლაინ რესურსების გამოყენებით თანამშრომლობის
ეფექტურობის გაზრდა

შალვა ქენქაძე

მზია ყანჩელი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული

პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

"როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად".

შალვა ქენქაძე / შ. ქენქაძე/

მზია ყანჩელი/ მ. ყანჩელი/

02.07.2020

მადლობა

მადლობას ვუხდით სსიპ - ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ თამარ ამზაშვილს, სკოლის ადმინისტრაციას და კვლევაში ჩართულ მასწავლებლებს. ასევე სსიპ-მამია ფანცულაიას სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის N2 საჯარო სკოლის დირექტორს, ბატონ ვარდენ ნიქაბაძეს კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისათვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი პრაქტიკის კვლევის თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ასოცირებულ - პროფესორ თამარ ბრეგვაძეს, რომელიც გვამღევდა რეკომენდაციებს, გვებმარებოდა სამუშაო პროცესის სწორი მიმართულებით დაგეგმვაში, წარმართვასა და პრობლემური საკითხების გადაჭრაში.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომით წარმოდგენილია სსიპ - ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლაში განხორციელებული პრაქტიკის კვლევის ანგარიში, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა ონლაინ რესურსების გამოყენებით მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის ეფექტურობის ზრდა.

საქართველოში ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) გამო მოცხადებული საგანგებო მდგომარეობისა და მისი შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით კვლევა წარიმართა დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში.

იქიდან გამომდინარე, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები დაიხურა და დისტანციურად სწავლების დამკვიდრების გზით ქვეყანამ გადაწყვიტა თავი აერიდებინა აკადემიური წლის გამოცხადებისაგან, სწავლა-სწავლების პროცესი ახალ რეალობაში წარიმართა. მოსწავლეების ონლაინ სწავლების რეჟიმზე გადასვლასთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი მასწავლებელთა შორის დისტანციური თანამშრომლობის შესაძლებლობა გახდა. მრავალ სხვა გამოწვევასთან ერთად პედაგოგებში თავი იჩინა ტექნოლოგიური ცოდნის ნაკლებობამ.

სწორედ მასწავლებლებს შორის ინტერნეტ რესურსების გამოყენებით თანამშრომლობას იკვლევს წინამდებარე ნაშრომი. მასში განხილულია ის გამოწვევები და უპირატესობები, რაც ვირტუალურ სივრცეში ამ კუთხით საქმიანობას ახასიათებს. კვლევაში შეთავაზებულია სხვადასხვა გზა, რომლითაც შესაძლებელია ამ გამოწვევებთან გამკლავება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ვირტუალური გუნდი, ონლაინ სწავლება, ელექტრონული რესურსები, დისტანციური თანამშრომლობა, ონლაინ სამასწავლებლო.

Abstract

The research presents LEPL - Tbilisi Public School No. 21, which was implemented within the framework of Ilia State University's Faculty of Business, Technology and Education's Master of Education Administration program, using online resources to increase teacher's collaboration efficiency.

In order to prevent the spread of a new coronavirus infection (COVID-19) in Georgia and to prevent its possible spread and to ensure safety, the study was conducted remotely online.

Due to the fact that the general education institutions were closed and the country decided to avoid the announcement of the academic year by establishing distance learning, the process of teaching and learning took place in a new reality. With the transition of students to online learning, which includes one of the most important aspect: remote teaching and collaboration between students and teachers and in between teachers as well.

The paper examines how teachers use internet resources and how this influences the process. It discusses the challenges and benefits that characterize virtual space activities in this field and variety of ways to deal with these challenges.

Key search words: Virtual team, online learning, electronic resources, remote cooperation, online tutoring.